პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის 12 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, N36 ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,სამოქალაქო კოდექსის“ 356-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს დავით ერემეიშვილს 2018 წლის 12 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, N36 ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასის დარჩენილი თანხა - 74597,0 /სამოცდათოთხმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი/ ლარი სრულად გადაიხადოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან სამ ეტაპად არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა (30.01.2019 წ. – 24865 ლარი; 03.06.2019 წლის - 24865 ლარი; 03.12.2019 წელი - 24867 ლარი), აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში N36 (02.10.2019 წ.) მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მყიდველი ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N19 (ნაკვეთი N1-1); ს.კ. 03.05.22.720) განახორციელოს არანაკლებ 25 ნომრიანი სასტუმროს ტიპის ობიექტის მშენებლობა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების N36 (12.10.2018წ.) ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან, 5 (ხუთი) წლის ვადაში.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემეიშვილმა, უზრუნველყოს ცვლილების ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი